



საქართველოს აგროარული უნივერსიტეტი

სტუდენტის ეთიკის კოდექსი

თბილისი,
2023 წელი



მუხლი 1. სტუდენტის ეთიკის კოდექსის პრინციპები

- 1.1. სტუდენტი ვალდებულია გაეცნოს და დაიცვას სტუდენტის ეთიკის კოდექსი. სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებზე ინფორმაციის არქონა არ ანთავისუფლებს მას პასუხისმგებლობისაგან.
- 1.2. სტუდენტის ეთიკის კოდექსი მოქმედებს, როგორც უმაღლეს, ასევე სასერტიფიკატო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტებზე.
- 1.3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყველა სტუდენტი თანაბრად სარგებლობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით მისთვის მინიჭებული უფლებებით.
- 1.4. სტუდენტი სრულად იზიარებს უნივერსიტეტის წესდებით, გამოცდების ჩატარების წესით, სტუდენტის ეთიკის კოდექსით და უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ დებულებებს, წესებს, მოთხოვნებს, ღირებულებებსა და პრინციპებს და განუხრელად იცავს მათ.
- 1.5. სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით; ხოლო სტუდენტი ვალდებულია შეასრულოს მიღებული გადაწყვეტილება.
- 1.6. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ სტუდენტი არის თავისუფალი და დამოუკიდებელი პიროვნება და აქვს უნარი, თავად განსაზღვროს საკუთარი ქცევა, მიიღოს გადაწყვეტილებები და განსაზღვროს ამ ქცევის და გადაწყვეტილებების შედეგები.
- 1.7. სტუდენტის მიმართ დისციპლინური ზომები გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ეთიკის საერთო წესებისა და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 2. სტუდენტის ვალდებულებები

- 2.1. სტუდენტი პატივს სცემს საკუთარი და სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, ასევე მათ პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.
- 2.2. აკრძალულია სხვა პირის დისკრიმინაცია ან მისადმი არატოლერანტული დამოკიდებულობა ნებისმიერი განსხვავებულობის გამო - რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული



შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიხედვით.

2.3. აკრძალულია შევიწროება რაც არის ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, ადევნება, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახავი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

2.4. აკრძალულია სექსუალური შევიწროება რაც არის სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

2.5. სტუდენტი პატივს სცემს უნივერსიტეტის სახელს, პატივსა და საქმიან რეპუტაციას.

2.6. სტუდენტი უფრთხილდება უნივერსიტეტის ქონებას.

2.7. სტუდენტი პატივს სცემს სხვა სტუდენტების სწავლის უფლებას.

2.8. სტუდენტი აღიარებს და იცავს უნივერსიტეტის წესდებით, გამოცდების ჩატარების წესით, უნივერსიტეტის სხვა მარეგულირებელი დოკუმენტებითა და ამ კოდექსით დადგენილ წესებსა და პირობებს.

2.9. ამ კოდექსით დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტი, რომლისთვისაც ცნობილი გახდება დარღვევის ფაქტი, ვალდებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ან ეთიკის საბჭოს შეატყობინოს ინფორმაცია აღნიშნული დარღვევისა და დამრღვევი პირის შესახებ.

მუხლი 3. ეთიკის საერთო წესები

3.1. ეს კოდექსი ადგენს სტუდენტის ეთიკის საერთო წესებს, რომელთა დაცვა სავალდებულოა უნივერსიტეტის თითოეული სტუდენტისათვის.

3.2. ეთიკის საერთო წესების დარღვევად მიიჩნევა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ (თუ ქმედება განხორციელებულია უნივერსიტეტის ან სტუდენტების მიერ ორგანიზებულ აკადემიურ, გასართობ, სადღესასწაულო ან სხვა ღონისძიებაზე) განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

3.2.1. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა;

3.2.2. აკრძალულია სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის წარმართვასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ყველა შეკრების/ლექციის მიმდინარეობისას აუდიო ან/და ვიდეო გადაღება/ჩაწერა,



სტრუქტურული (პირდაპირ ეთერში გადაცემა) აკადემიური პერსონალის/ლექტორის/მეხვედრის ორგანიზატორის და აუდიტორიის თანხმობის გარეშე. ამასთან, აკრძალულია თანხმობის საფუძველზე გაკეთებული აუდიო-ვიდეო ჩანაწერის საჯაროდ გავრცელება.

3.2.3. ნიკოტინის მისაღები ნებისმიერი საშუალების (გასახურებელი თამბაქოს, ელექტრო და წვადი სიგარეტის, სხვა) მოწვევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ;

3.2.4. ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე;

3.2.5. აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება;

3.2.6. ქმედება, რომელიც უნივერსიტეტის სახელის, პატივის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფრთხეს და გარემოებებს ქმნის, ან ქმედება რომელიც უნივერსიტეტის სახელს, პატივს ან საქმიან რეპუტაციას ლახავს;

3.2.7. უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება;

3.2.8. დემონსტრაციული ბილწისტიყვაობა;

3.2.9. სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის, ასევე, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი შინაარსის მქონე ფრაზებით მიმართვა;

3.2.10. სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;

3.2.11. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

3.2.12. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;

3.2.13. ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

3.2.14. სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის აკადემიური საკითხების გადაწყვეტის მიზნით;



3.2.15. სხვა პირის დისკრიმინაცია (დისკრიმინაციად ითვლება პირის პირდაპირ ან არაპირდაპირ შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისთვის ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით, ამ კოდექსის 2.2 პუნქტში მოცემული საფუძვლით);

3.2.16. სხვა სტუდენტის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით;

3.2.17. უნივერსიტეტის ქონების დაზიანება, დაზიანების მცდელობა.

3.2.18. უნივერსიტეტის შენობაში (გარდა კაფეტერიისა და პირველი სართულის ფოიეში ვენდინგ მანქანებთან სივრცისა) საკვების და უალკოჰოლო სასმელის (გარდა სასმელი წყლისა) მოხმარება.

3.2.19. შევიწროება (ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, ადევნება, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახვი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას).

3.2.20. სექსუალური შევიწროება (სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას).

3.2.21. ადევნება (პირადად ან მესამე პირის მეშვეობით, პირთან (მისი ოჯახის წევრთან ან ახლო ნათესავთან) განმეორებადი კომუნიკაციის დამყარება (პირადად, ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით), ან ნებისმიერი სხვა ქმედება, რომელიც პირისგან ფსიქოლოგიურ ზეწოლად აღიქმება).

მუხლი 4. პასუხისმგებლობა ეთიკის საერთო წესების დარღვევისათვის

4.1. ამ კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო სტუდენტის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის სიმძიმის, შინაარსის, ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, განსაზღვრავს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო.

4.2. ამ კოდექსის 3.2.1 (სასწავლო პროცესის მიმდინარეობისათვის ხელის შეშლა), 3.2.2. (სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას აუდიო-ვიდეო გადაღება, სთრიმინგი (პირდაპირ ეთერში გადაცემა) აკადემიური პერსონალის/ლექტორის და აუდიტორიის თანხმობის გარეშე), 3.2.8 (დემონსტრაციული და უხეში ბილწსიტყვაობა) და 3.2.9 (სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება სხვა პირისათვის, ასევე, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი შინაარსის მქონე ფრაზებით მიმართვა) პუნქტებში აღნიშნული ქმედებების ჩადენისას ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს, ან, სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილება, ან, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. სტუდენტის მიერ იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. გარდა აღნიშნულისა, ამ კოდექსის 3.2.1, 3.2.2, 3.2.8 და 3.2.9. პუნქტებით გათვალისწინებული ქმედებების შემჩნევისას, მათი აღკვეთის მიზნით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენელსა და აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს სტუდენტს მისცეს ზეპირი გაფრთხილება.

4.3. ამ კოდექსის 3.2.7 პუნქტით (უნივერსიტეტის ტერიტორიის დანაგვიანება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აკისრებს ჯარიმას - 15 ლარის ოდენობით.

4.4. ამ კოდექსის 3.2.3 პუნქტით (ნიკოტინის მისაღები ნებისმიერი საშუალების (გასახურებელი თამბაქოს, ელექტრო და წვადი სიგარეტის, სხვა) მოწვევა უნივერსიტეტის შენობაში ან საამისოდ ნებადართული ტერიტორიის ფარგლებს გარეთ; გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტს აკისრებს ჯარიმას - 100 ლარის ოდენობით და არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებას. ასევე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება.

4.5. ამ კოდექსის 3.2.4 პუნქტით (ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება უნივერსიტეტის ტერიტორიაზე) და 3.2.18 პუნქტით (უნივერსიტეტის შენობაში (გარდა კაფეტერიისა და პირველი სართულის ფოიეში ვენდინგ მანქანებთან სივრცისა) საკვების და უალკოჰოლო სასმელის (გარდა სასმელი წყლისა) მოხმარება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტს აკისრებს ჯარიმას - 100 ლარის ოდენობით და არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებას. ასევე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს, ან, სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, ან, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

4.6. ამ კოდექსის 3.2.5 პუნქტით (აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სტუდენტს



აკისრებს ჯარიმას - 100 ლარის ოდენობით. ასევე, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს, ან, სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, ან, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

4.7. ამ კოდექსის 3.2.6 პუნქტით (ქმედება, რომელიც უნივერსიტეტის სახელის, პატივის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის საფრთხეს და გარემოებებს ქმნის, ან ქმედება რომელიც უნივერსიტეტის სახელს, პატივს ან საქმიან რეპუტაციას ლახავს) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს, ან, სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება, ან, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

4.8. ამ კოდექსის 3.2.10 პუნქტით (სხვა პირის მიმართ ძალადობა ან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

4.8.1. სტუდენტს მისცეს წერილობითი გაფრთხილება;

4.8.2. სტუდენტს დააკისროს ჯარიმა - 200 ლარამდე ოდენობით;

4.8.3. სტუდენტს შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი.

4.9. ამ კოდექსის 3.2.11 (ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება) 3.2.12 (ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა) და 3.2.13 (ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის) პუნქტებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას:

4.9.1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აღნიშნულ ფაქტს ატყობინებს პოლიციას;

4.9.2. უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

4.10. ამ კოდექსის 3.2.14 პუნქტით (სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება, მათ შორის აკადემიური საკითხების გადაწყვეტის მიზნით), 3.2.15 პუნქტითა (სხვა პირის დისკრიმინაცია), 3.2.16 პუნქტით (სხვა სტუდენტის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა სტუდენტის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა), 3.2.17 პუნქტით (უნივერსიტეტის ქონების დაზიანება, დაზიანების მცდელობა) 3.2.19



პუნქტით (შევიწროება), 3.2.20 პუნქტითა (სექსუალური შევიწროება) და 3.2.21 პუნქტით (ადევნება) გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს, ან, სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილება, ან, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

4.11. უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გადაეცემა უნივერსიტეტის რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოცემის მიზნით. რექტორის ბრძანება დაუყოვნებლივ გადაეცემა სტუდენტსა და უნივერსიტეტის სარეგისტრაციო და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

4.12. პასუხისმგებლობის სახით ჯარიმის გამოყენების შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია მისთვის უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში დაკისრებული ჯარიმის შესატყვისი თანხა გადარიცხოს უნივერსიტეტის შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული

უნივერსიტეტი

ს/ნ 211325653

ს.ს. ლიბერთი ბანკი

LBRTGE22

ა/ა GE56LB0121134383911027

მუხლი 5. აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესები

5.1. სტუდენტის მიმართ ამ კოდექსით დადგენილი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები გამოიყენება აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული შემდეგი წესების დარღვევის შემთხვევაში:

5.1.1. აკადემიური თაღლითობა/არაკეთილსინდისიერება - გადაწერა სხვა სტუდენტის ნამუშევრიდან, სხვისი მიერ შესრულებული დავალების საკუთრად გასაღება ან გასაღების მცდელობა, სხვისი ნამუშევრის მომზადება, ცრუმადიერ პირად წარმოჩენა, ან ნებისმიერი სახის წინასწარ მომზადებული დამხმარე მასალის, სხვადასხვა ტექნიკური საშუალების საგამოცდო პროცესის მიმდინარეობის დროს ფლობა, გამოყენება ან გამოყენების მცდელობა, რომელიც არ არის ნებადართული, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ;

5.1.2. პლაგიატი - სხვისი ნამუშევრის, ტექსტის, იდეის, შემოქმედებითი გადაწყვეტის, ნახაზის, ესკიზის, პროექტის, მაკეტის, გეგმის, სქემის, ფოტოსურათის, ელექტრონული ინფორმაციის,



ვიდეო - და აუდიოჩანაწერების გამოყენება ავტორის და წყაროს მითითების გარეშე ან მისი საკუთრად გასაღება ან საკუთრად გასაღების მცდელობა;

5.1.2.1. ნამუშევარში გამოყენებული პლაგიატის პროპორციის მოცულობა მთელ ნამუშევართან მიმართებით არ მიიჩნევა პლაგიატის არსებობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად;

5.1.2.2. პლაგიატის ფაქტზე არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა, ან რაიმე აკადემიური პროცედურის დასრულება არ აქარწყლებს პლაგიატის ჩადენაზე პასუხისმგებლობას.

5.1.3. სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა;

5.1.4. სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში დახმარება, მოწოდება ან ხელის შეწყობა;

5.1.5. სხვა სტუდენტისათვის პლაგიატის ჩადენაში ხელის შეწყობა, დახმარება, ასევე, სხვისი მოწოდება, შეთავაზება, დაინტერესება ან წახალისება პლაგიატის ჩასადენად;

5.1.6. კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება;

5.1.7. ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება;

5.1.8. იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით;

5.1.9. საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, შესაფასებლად ჩაბარებული ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება; ასევე, საგამოცდო ნამუშევრის ჩანაცვლება;

5.1.10. საუნივერსიტეტო მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება;

5.1.11. ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით;

5.1.12. უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა.



5.1.13 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეცდომაში შეყვანა, მათ შორის მცდარი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებით, სიტყვიერად, წერილობით ან წარმოდგენილი დოკუმენტებით რაიმე არაკუთვნილი უფლების ან უპირატესობის მოპოვების მიზნით.

5.1.14. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ფაქტობრივი გარემოებების შეგროვების (ფოტო-ფიქსაცია და ა.შ.) პროცესისთვის ხელის შეშლა, დაუმორჩილებლობა.

5.1.15. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლის მოთხოვნისადმი/მითითებისადმი დაუმორჩილებლობა.

მუხლი 6. პასუხისმგებლობა აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული ეთიკის წესების დარღვევისათვის

6.1. ამ კოდექსის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო სტუდენტის პასუხისმგებლობის სახესა და ზომას კონკრეტული დარღვევის შინაარსის, სიმძიმის, ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით, განსაზღვრავს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო.

6.2. ამ კოდექსის 5.1.1 პუნქტით (აკადემიური თაღლითობა/არაკეთლსინდისიერება), 5.1.2 პუნქტით (პლაგიატი), 5.1.7 პუნქტით (ინდივიდუალური დავალების ჯგუფურად მომზადება ან ერთი პირის მიერ მომზადებული დავალების ჯგუფურ ნამუშევრად გასაღება), 5.1.8 პუნქტით (იდენტობის გაყალბების საშუალებით, სხვა პირთან გარიგება გამოცდის ჩაბარების მიზნით), 5.1.10 პუნქტით (საუნივერსიტეტო მონაცემების (აკადემიური/ადმინისტრაციული) გაყალბება ან/და გამოყენება), 5.1.9 პუნქტით (საგამოცდო მასალების, მათ შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გავრცელება, შესაფასებლად ჩაბარებული ნამუშევრის უნებართვოდ ჩანაცვლება, ასევე საგამოცდო დავალების ნამუშევრის ჩანაცვლება) გათვალისწინებული ქმედებისათვის ეთიკის საბჭოს გადაწყვეტილებით სტუდენტს, ან, შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში ეწერება შეფასება F და იღებს წერილობით გაფრთხილებას, ან, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მას შესაბამის საგანში/სასწავლო კურსში ეწერება შეფასება F.

6.3. ამ კოდექსის 5.1.3 პუნქტში (სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლასა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით; სხვა სტუდენტის ნამუშევრის მოპარვა, განადგურება, შეცვლა) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს, ან, სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილება, ან, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მიიღოს სტუდენტის



სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

6.4. ამ კოდექსის 5.1.4 პუნქტით (სხვა სტუდენტისათვის აკადემიური თაღლითობის ჩადენაში დახმარება, მოწოდება ან ხელის შეწყობა), 5.1.5 პუნქტით (სხვა სტუდენტისათვის პლაგიატის ჩადენაში ხელის შეწყობა, დახმარება, ასევე, სხვისი მოწოდება, შეთავაზება, დაინტერესება ან წახალისება პლაგიატის ჩასადენად), 5.1.6 პუნქტით (კვლევითი სამუშაოების მონაცემებისა და შედეგების გაყალბება), 5.1.11 პუნქტით (ლექტორზე, გამომცდელზე, უნივერსიტეტის თანამშრომელზე ზეწოლა შეფასების მიღების მიზნით), 5.1.13 პუნქტით (აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეცდომაში შეყვანა, მათ შორის მცდარი ან არასრული ინფორმაციის მიწოდებით, სიტყვიერად, წერილობით ან წარმოდგენილი დოკუმენტებით რაიმე არაკუთვნილი უფლების ან უპირატესობის მოპოვების მიზნით.), 5.1.14. პუნქტით (უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ფაქტობრივი გარემოებების შეგროვების (ფოტო-ფიქსაცია და ა.შ.) პროცესისთვის ხელის შეშლა, დაუმორჩილებლობა), 5.1.15 პუნქტით (უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლის მოთხოვნისადმი/მითითებისადმი დაუმორჩილებლობა) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს, ან, სტუდენტის წერილობითი გაფრთხილების გადაწყვეტილებას, ან, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგივე ქმედების განმეორების შემთხვევაში, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

6.5. ამ კოდექსის 5.1.12 პუნქტით (უნივერსიტეტში წარსადგენი დოკუმენტის გაყალბება ან დოკუმენტების არასრულად წარდგენა) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო აუქმებს ასეთ დოკუმენტზე დაყრდნობით მიღებულ გადაწყვეტილებას, ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება, ხოლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს დოკუმენტის გაყალბებასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის მოთხოვნით.

მუხლი 7. დისციპლინური წარმოების განხორციელების წესი

7.1. ეთიკის საერთო და აკადემიურ პროცესთან დაკავშირებული წესების დარღვევის ფაქტებზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრა შეუძლია უნივერსიტეტის აკადემიურ ან პედაგოგიურ საქმიანობაში ჩართულ ნებისმიერ პირს, ასევე, ადმინისტრაციის ნებისმიერ თანამშრომელსა და უნივერსიტეტის ნებისმიერ სტუდენტს.

7.2. უნივერსიტეტი ამ კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტის შესწავლის მიზნით ახორციელებს დისციპლინურ წარმოებას.



7.3. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

7.3.1. უნივერსიტეტისაგან მიიღოს შეტყობინება მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ;

7.3.2. დაესწროს მის მიმართ დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, დაიცვას საკუთარი უფლებები დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით;

7.3.3. მიაწოდოს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები;

7.3.4. მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ეთიკის საბჭოს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევაში;

7.3.5. სასამართლოში გაასაჩივროს უნივერსიტეტის მიერ მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

7.4. უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია:

7.4.1. მოსთხოვოს სტუდენტს საკუთარი მოქმედების ზეპირი ან/და წერილობითი აღწერა და განმარტება;

7.4.2. მრავალმხრივ და სრულყოფილად გამოიკვლიოს წარდგენილი ინფორმაცია, მტკიცებულებები, გარემოებები;

7.4.3. ამ კოდექსით გათვალისწინებული დარღვევისათვის იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ.

7.5. ეთიკის საბჭო დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების/არდაკისრების თაობაზე მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც გამოსცემს შესაბამის აქტს.

7.6. ამ კოდექსში აღნიშნული შემთხვევების გარდა, უნივერსიტეტის ეთიკის საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ კოდექსით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ზომის შეფარდების შესახებ, ისეთი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას განეკუთვნება.

7.7. ეთიკის საბჭო უფლებამოსილია, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, მიიღოს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გადაწყვეტილება იმ შემთხვევაშიც, თუ სტუდენტის მიმართ უკვე გამოცემულია წერილობითი გაფრთხილება.



- 7.8. აკრძალულია უნივერსიტეტში არსებულ ნებისმიერი ტიპის პროგრამაზე იმ პირის მიღება, რომელსაც სტუდენტის ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო შეუწყდა სტუდენტის სტატუსი.
- 7.9. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ნებისმიერი ტიპის პროგრამაზე მიღებაზე უარი უთხრას პირს რომელსაც უფიქსირდება ეთიკის კოდექსის დარღვევა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

- 8.1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განაახლოს და შეიტანოს ცვლილებები ამ კოდექსში, რაც არ უნდა ლახავდეს სტუდენტის უფლებებს და არ უნდა იწვევდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის არსის შეცვლას.
- 8.3. ამ კოდექსის რომელიმე დებულების ბათილად ან ძალადაკარგულად ცნობა გავლენას არ ახდენს კოდექსის სხვა მუხლების იურიდიულ ძალაზე.